საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-08/164

02 მარტი, 2020 წელი ქ. ბათუმი

,,2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბსუ-ს სტუდენტთა სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლის (შიდა მობილობის) შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 10 თებერვლის №01-08/31 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ

ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტმა ნაზი დუმბაძემ მონაწილეობა მიიღო ბსუ-ში 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის შიდა მობილობაში და დადგენილ ვადებში წარმოადგინა განცხადება ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლის შესახებ. ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 13 იანვარს N01-02/03 ბრძანებით დადგენილ ვადებში განხორციელდა შიდა მობილობის პროცედურები და მომზადდა დასკვნა სტუდენტ ნაზი დუმბაძის მიერ ტურიზმის ფაკულტეტის პროგრამაზე ათვისებული კრედიტების ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობის შესახებ. სასწავლო პროცესის დეპარტამენტის შიდა მობილობის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი დასაქმებულის განმარტებით, ნაზი დუმბაძეს შიდა მობილობის წესის შესაბამისად გაეგზავნა წერილობითი შეტყობინება კრედიტების აღიარების დასკვნის გაცნობის მიზნით, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ დადგენილ ვადაში სტუდენტი სასწავლო პროცესის დეპარტამენტში არ გამოცხადებულა და არც პროგრამის შეცვლის სურვილის საწინააღმდეგო პოზიცია გამოუხატავს, სტუდენტი ნაზი დუმბაძე შეყვანილი იქნა ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 10 თებერვალს გამოცემულ №01-08/31 ბრძანებაში (დანართი 1-ის მე-4 გრაფა), რომლითაც იგი გადავიდა ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტიდან ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2020 წლის 25 თებერვლის MES 32000244165 განცხადებით სტუდენტი ნაზი დუმბაძე ითხოვს გაუქმდეს 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის შიდა მობილობის შედეგი მის ნაწილში. იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტს შიდა მობილობის ადმინისტრირების პროცესში მომზადებული კრედიტების აღიარების (თავსებადობის) დასკვნაზე თანხმობა არ გამოუხატავს, მიზანშეწონილია გასწორდეს ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 10 თებერვალს გამოცემულ №01-08/31 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური ხარვეზი და ამოღებული იქნეს (დანართი 1-ის მე-4 გრაფა - ჩანაწერი სტუდენტ ნაზი დუმბაძის შესახებ).

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბსუ-ს სტუდენტთა სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლის (შიდა მობილობის) შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 10 თებერვლის №01-08/31 ბრძანების, ნაზი დუმბაძის 2020 წლის 25 თებერვლის MES 32000244165 განცხადებისა და სასწავლო პროცესის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის, ს. დობორჯგინიძის 2020 წლის 28 თებერვლის MES 82000257274 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ,,2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბსუ-ს სტუდენტთა სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლის (შიდა მობილობის) შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 10 თებერვლის №01-08/31 ბრძანებაში გასწორდეს დაშვებული ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, **ბრძანების დანართი 1-იდან ამოღებული იქნეს მე-4 პუნქტის ჩანაწერი** ბსუ-ს სტუდენტ ნაზი დუმბაძესთან) დაკავშირებით.
2. ბრძანება აისახოს ბსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში და სტუდენტურ პორტალზე.
3. ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტის მიერ ბრძანება ეცნობოს სტუდენტს, განემარტოს აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის აუცილებლობის შესახებ, ხოლო აკადემიური რეგისტრაცია უზრუნველყოფილი იქნეს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტთან კოორდინირებული მუშაობით.
4. წინამდებარე ბრძანება აისახოს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში და წარედგინოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას.
5. ბრძანება აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (ფაკულტეტს სტუდენტის პირად საქმეში ასახვის მიზნით, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. N30).
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**